ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6317160

ნომერი: AR1945339

თარიღი : 23.01.2023

გაცემის თარიღი : 07.02.2023

გაცნობის თარიღი : 07.02.2023

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ცოტნე დადიანის ქუჩა, N 106;

დამკვეთი-განმცხადებელი

- არჩილ რამიშვილი პ/ნ 01010011140
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ II მ/რ II კვ. კორ. 12 ბ. 27

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2023 წლის 23 იანვარს №AR1945339 განმეორებითი განცხადება, რომლითაც ითხოვთ სამსახურის 2021 წლის 29 იანვრის №5266294 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2023 წლის 30 იანვრის №6305477 ბრძანებითა და 2023 წლის 3 თებერვლის

№6313344 გადაწყვეტილებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზები და განგესაზღვრათ ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ, ისევ არ არის დადგენილი ხარვეზები გამოსწორებული, კერძოდ ამჯერად წარმოდგენილი „+11.60, +11.40, +13.00" ნიშნულის გეგმა შეუსაბამოა სამსახურის 2021 წლის 29 იანვრის №5266294 ბრძანებით შეთანხმებულ „+10.80, +11.40, +13.00" ნიშნულის გეგმასთან (შეცვლილია გეგმარება). სამსახურის 2023 წლის 30 იანვრის №6305477 ბრძანებითა და 2023 წლის 3 თებერვლის №6313344 გადაწყვეტილებით გეცნობათ, რომ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო იყო სამსახურის 2021 წლის 29 იანვრის №5266294 ბრძანებით შეთანხმებული გეგმების იდენტური (გეგმარების ცვლილების გარეშე) გეგმების წარმოდგენა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, არ იქნა წარმოდგენილი სამსახურის მიერ განსაზღვრული შესწორებული დოკუმენტაცია (გეგმარების ცვლილების გარეშე) და ამასთან, სამსახურის მიერ 2023 წლის 30 იანვრის №6305477 ბრძანებითა და 2023 წლის 3 თებერვლის №6313344 გადაწყვეტილებით მოხდა ხარვეზების დადგენა, რომელიც განმცხადებლის მიერ არ გამოსწორდა, სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება 2023 წლის 23 იანვრის №AR1945339 განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე.
დამატებით გაცნობებთ, რომ ახალი განცხადების რეგისტრაციის და სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, სამსახური იმსჯელებს განცხადებაში მითითებულ საკითხთან დაკავშირებით და მიიღებს კანონმდებლობის შესაბამის გადაწყვეტილებას.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.